საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1320
10.11.2025

ბრძანება

1320-01-4-202511101627

შპს „ოლსერვისგრუპის“ (ს/ნ: 406233552) 2025 წლის 6 ოქტომბრის N01/5908 საჩივრის დასაშვებად ცნობის, საქმის მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 20^1 მუხლის 5-9 პუნქტების, 22-ე მუხლის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის 1-3 პუნქტების და მე-19 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დასაშვებად იქნეს ცნობილი შპს „ოლსერვისგრუპის“ (ს/ნ: 406233552) 2025 წლის 6 ოქტომბრის N01/5908 საჩივარი მოპასუხე - შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსის“ (ს/ნ: 405543470) მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^3 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.
2. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის შემადგენლობა წინამდებარე ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად.
3. მოკვლევის ჯგუფმა, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადებისა და პროცედურების დაცვით, მოიკვლიოს შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსის“ (ს/ნ: 405543470) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^3 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტი.

4. მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება ეცნობოს შპს „ოლსერვისგრუპსა“ (ს/ნ: 406233552) და შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსს“ (ს/ნ: 405543470).
5. მოკვლევის დაწყების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.
6. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
7. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

საფუძველი: შპს „ოლსერვისგრუპის“ (ს/ნ: 406233552) 2025 წლის 6 ოქტომბრის N01/5908 საჩივარი და სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2025 წლის 10 ნოემბრის N03/1623 მოხსენებითი ბარათი

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე